

ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა

საქართველო

ტურიზმის ინდიკატორები 2024 წლის II კვარტალში

Research

გამოცემა 3 | სექტემბერი, 2024

შინაარსი

შეჯამება	
საერთაშორისო ტურიზმი	4
შიდა ტურიზმი	6
სასტუმროს ფასები საქართველოში	7
გამყვანი ტურიზმი	9
ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში	10

შეჯამება

Research

- **2024 წლის II კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.5 მილიონი შეადგინა, რაც 5%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს, თუმცა პანდემიამდელი დონის მხოლოდ 81%-ს შეადგენს.** აღსანიშნავია, რომ 2024 წლის II კვარტალში, წინა კვარტლისგან განსხვავებით, არც ტურისტული ვიზიტები აღდგენილა სრულად პანდემიამდელ დონემდე, რასაც სასტუმროების წარმომადგენლები მაისში საქართველოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ მიმართულ სამოქალაქო პროტესტებსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას უკავშირებენ.[1]

- **2024 წლის II კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან (24%), და რუსეთიდან (20%) განხორციელდა.** საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ყველაზე მაღალი წლიური ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს (127%), რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ჩინეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების გაორმაგებული რაოდენობით.[2] მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ინდოეთიდან (79%) და საუდის არაბეთიდან (51%) განხორციელებულ ვიზიტებშიც.

- **2024 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2023 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 8%-ით გაიზარდა.** ყველაზე მაღალი იყო რუსი (19%) და თურქი (16%) მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი. თუმცა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საუდის არაბეთს (ვიზიტზე 1,529 აშშ დოლარი), ისრაელს (1,381 აშშ დოლარი) და უკრაინას (1,339 აშშ დოლარი) ჰქონდათ.

- **2024 წლის II კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 5.1 მილიონს მიაღწია, რაც 6%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს.** შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (22%), რომელსაც მოსდევდა იმერეთი (20%) და აჭარა (10%).

- **2024 წლის II კვარტალში შიდა ტურისტების დანახარჯები 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13%-ით გაიზარდა, რითაც საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯების 3%-იან ზრდას გადააჭარბა.** შიდა ვიზიტორების დანახარჯებში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს საყიდლებს, საკვებსა და სასმელსა და ტრანსპორტს. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი განთავსებასა და საყიდლებში დახარჯეს.

- **2024 წლის II კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 562 ათასი ლარი შეადგინა, რაც 3%-ით მეტია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.** საქართველოს რეზიდენტებმა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი (39%), რუსეთი (18%), ევროკავშირი (16%) და სომხეთი (12%). აღსანიშნავია, რუსეთში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (32%), ხოლო დანარჩენ ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტები ოდნავ შემცირდა 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სასტუმროების ფასები საქართველოში

- **2024 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით საქართველოში 3-ვარსკვლავიანი (-1%), 4-ვარსკვლავიანი (-1%) და საოჯახო სასტუმროების (-4%) საშუალო ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა.** ამის საპირისპიროდ, საგრძნობლად გაიზარდა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები (10%).

- **2024 წლის აგვისტოში საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 184 ლარი შეადგინა,** 4-ვარსკვლავიანი სასტუმროებისამ - 272 ლარი, საოჯახო სასტუმროებისამ - 114 ლარი, ხოლო 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებისამ - 586 ლარი.

- **2024 წლის აპრილი-აგვისტოს პერიოდში აჭარაში 3-ვარსკვლავიანი (5%), 5-ვარსკვლავიანი (10%) და საოჯახო სასტუმროების (13%) საშუალო ფასი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა,** ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 15%-ით შემცირდა.

- **2024 წლის აპრილი-აგვისტოს პერიოდში თბილისში 3-ვარსკვლავიანი (-2%) და საოჯახო სასტუმროების (-24%) საშუალო ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა,** რაც შეიძლება ტურისტების რაოდენობასთან შედარებით სასტუმროების რაოდენობის უფრო მაღალ ზრდას უკავშირდებოდეს, რაც განსაკუთრებით არაბრენდულ სასტუმროებში შეიმჩნევა.[3] ხოლო 5-ვარსკვლავიანი (23%) და 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების (7%) საშუალო ფასები გაიზარდა.

საერთაშორისო ტურიზმი





- **2024 წლის II კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.5 მილიონი შეადგინა, რაც 5%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს (2019 წლის შესაბამისი პერიოდის მთლიანი რაოდენობის 81%).** საგულისხმოა ისიც, რომ 2024 წლის II კვარტალში, წინა კვარტლისგან განსხვავებით, არც ტურისტული ვიზიტები აღდგენილა სრულად პანდემიამდელ დონემდე (95%), რასაც სასტუმროების წარმომადგენლები მაისში საქართველოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ მიმართულ სამოქალაქო პროტესტებსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას უკავშირებენ.

- **2024 წლის II კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან განხორციელდა (ვიზიტების საერთო რაოდენობის 24%).** მას მოსდევდა რუსეთი (20%). 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა რუსეთიდან (-3%-ით), ხოლო მცირედით გაიზარდა თურქეთიდან (1%-ით) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა.

- **იმ 15 ქვეყნიდან, საიდანაც 2024 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, წინა წლის II კვარტალთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჰქონდა ჩინეთს (127%),** რაც, შესაძლოა, ჩინეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების გაორმაგებულ რაოდენობას უკავშირდებოდეს. მაღალი ზრდა შეიმჩნეოდა ინდოეთიდან (79%) და საუდის არაბეთიდან (51%) განხორციელებულ ვიზიტებშიც. ხოლო ვიზიტებმა პოლონეთიდან (-39%) და უკრაინიდან (-24%) ყველაზე მეტად დაიკლო.

- **2024 წლის II კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო დასვენება, გართობა და რეკრეაცია (ვიზიტების 54%),** რასაც მოსდევდა მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (20%). 2024 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების განაწილება მიზნების მიხედვით მეტწილად წინა წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია. აღსანიშნავია, რომ დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტების წილი 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ტურიზმი





- **2024 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია**, რაც 2023 წლის II კვარტალთან შედარებით 8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **2024 წლის II კვარტალში ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 19%).** მას მოსდევდა თურქეთი (16%). თუმცა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საუდის არაბეთს (ვიზიტზე 1,529 აშშ დოლარი), ისრაელს (1,381 აშშ დოლარი) და უკრაინას (1,339 აშშ დოლარი) ჰქონდათ.
- **2024 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი დახარჯეს განთავსებასა (მთლიანი დანახარჯების 35%) და საყიდლებში (28%).** მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების განაწილება 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია, განთავსების წილი შემცირდა (-8 პპ), ხოლო საყიდლების წილი გაიზარდა (6 პპ).

* საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების 17%, ბელარუსის მოქალაქეების 16.5% და უკრაინის მოქალაქეების 24.3% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შიდა ტურიზმი





- **2024 წლის II კვარტალში შიდა ვიზიტების რაოდენობამ 5.1 მილიონს მიაღწია,** რაც 6%-ით აღემატება 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელს.
- **შიდა ვიზიტორთა განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2024 წლის II კვარტალში 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია**. შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 22%), რასაც მოსდევდა იმერეთი (20%) და აჭარა (10%).
- **2021 წლიდან მომდევნო წლების კვარტალურ მაჩვენებლებზე დაკვირვებით შეინიშნება ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის კლების ტენდენცია.** 2024 წლის II კვარტალში ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ 1.11 ღამე შეადგინა, რაც 2023 წლის (1.23 ღამე) და 2022 წლის (1.46 ღამე) შესაბამის პერიოდებთან შედარებით მცირედით შემცირებული მაჩვენებელია.
- **2024 წლის II კვარტალში შიდა ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 52%), რასაც მოსდევდა საყიდლები (15%) და რეკრეაცია** (11%). აღსანიშნავია, რომ 2024 წლის II კვარტალში მეორე სახლის მონახულების წილი 3 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა, ხოლო რეკრეაციის წილი გაიზარდა (1 პპ), რის შედეგადაც რეკრეაცია ვიზიტის მიზნების პირველ სამეულში მოხვდა.
- **2024 წლის II კვარტალში შიდა ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯებმა 793 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 13%-ით მეტია 2023 წლის II კვარტალთან შედარებით**. დანახარჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ, ყველაზე დიდი ადგილი უკავია საყიდლების (37%), საკვებისა და სასმლის (23%) და ტრანსპორტის (22%) დანახარჯებს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასტუმროს ფასები საქართველოში



- **2024 წლის თებერვლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 3,198 განთავსების საშუალების მიმწოდებელი,** რომელთა უმეტესობა მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთში (19%), თბილისსა (17%) და აჭარაში (15%).
- **2024 წლის აგვისტოში საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა 184 ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს 2%-ით აღემატება.** ამავე პერიოდში 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 272 ლარი იყო (-2%), საოჯახო სასტუმროების - 114 ლარი (-12%), 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს საშუალო ფასმა კი 586 ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის აგვისტოსთან შედარებით 8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- **რაც შეეხება სასტუმროების საშუალო ფასებს საქართველოში, 2024 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით საშუალო ფასები სასტუმროების კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება.** საშუალო ფასები შემცირდა 3-ვარსკვლავიან სასტუმროებსა (საშუალოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1%-ით) და 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში (-1%), რომელშიც მცირედი ზრდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში დაფიქსირდა. ყველაზე მაღალი ზრდა შეინიშნებოდა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების კატეგორიაში (10%). ამის საპირისპიროდ, საოჯახო სასტუმროების ფასები შემცირდა (-4%).

* შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შე-დეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირმებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი)

სასტუმროს ფასები საქართველოში





- **2024 წლის აპრილი-აგვისტოს პერიოდში აჭარაში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი გაიზარდა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5%-ით).** გარდა ამისა, 5-ვარსკვლავიანი (10%) და საოჯახო სასტუმროების (13%) საშუალო ფასებიც გაიზარდა, თუმცა, 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 15%-ით შემცირდა.
- **სასტუმროების ფასები აჭარაში საგრძნობი სეზონურობით ხასიათდება,** კერძოდ, სასტუმროების საშუალო ფასები ზაფხულის თვეებში (ივლისი და აგვისტო) პიკს აღწევს, ზამთრის თვეებში (იანვარი და თებერვალი) კი ყველაზე დაბალია. აღსანიშნავია, რომ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები ყველაზე მაღალი რყევებით გამოირჩევა და მკვეთრად მატულობს ზაფხულის თვეებში, რაც ამ სეზონზე მაღალ მოთხოვნას ააშკარავებს. ამის საპირისპიროდ, საოჯახო სასტუმროების ფასები ყველაზე დაბალი რყევებით ხასიათდება.
- **2024 წლის აპრილი-აგვისტოს პერიოდში თბილისში 3-ვარსკვლავიანი (-2%) და საოჯახო სასტუმროების (-24%) საშუალო ფასები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა.** ფასების კლება შესაძლოა განპირობებული იყოს თბილისში სასტუმროების რაოდენობის მაღალი ზრდით, რაც ტურისტების რაოდენობის ზრდას აჭარბებს. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი განსაკუთრებით არაბრენდულ სასტუმროებში შეიმჩნევა. საქართველოს სასტუმროების საშუალო ფასების მსგავსად, ყველაზე მაღალი ზრდა შეინიშნებოდა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების კატეგორიაში (23%). გარდა ამისა, 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასებიც გაიზარდა, თუმცა უფრო ნაკლებად (7%).
- **სასტუმროების საშუალო ფასები თბილისშიც ხასიათდება სეზონური რყევებით, მაგრამ აჭარის საშუალო ფასებთან შედარებით უფრო ნაკლებადაა გამოხატული.** გარდა ამისა, თბილისში სასტუმროების საშუალო ფასები აჭარასთან შედარებით მაღალია. აღსანიშნავია, რომ რეგიონებს შორის ყველაზე მკვეთრი განსხვავება 5-ვარსკვლავიან და საოჯახო სასტუმროებში შეიმჩნევა.

წყარო: PMC კვლევითი ცენტრი

გამყვანი ტურიზმი

საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები (2022 კვ. I - 2024 კვ. II)



გასვლითი ვიზიტები ქვეყნების მიხედვით (2024 კვ. II)



- **2024 წლის II კვარტალში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 562 თასი შეადგინა,** რაც 3%-ით მეტია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

- **2024 წელის II კვარტალში საქართველოს რეზიდენტების 39%-მა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი, რომელსაც მოსდევდა რუსეთი (18%), ევროკავშირი (16%) და სომხეთი (12%).** აღსანიშნავია, რომ რუსეთში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (32%), ხოლო თურქეთში, სომხეთსა და ევროკავშირში განხორციელებული ვიზიტები ოდნავ შემცირდა 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2024 წლის II კვარტალში 594 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 16%-ით მეტია 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.** დანახარჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია, კერძოდ, დანახარჯების უდიდესი ნაწილი კვლავ საყიდლებს (38%), კვებასა (26%) და ტრანსპორტირებას (15%) უკავია.

- **2024 წელის II კვარტალში საქართველოს მოქალაქეების გასვლითი ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო მეგობრების ან ნათესავების მონახულება (მთლიანი ვიზიტების 34%)**, რასაც მოსდევდა საყიდლები (33%). 2023 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა იმ ვიზიტორთა წილი, რომელთა მთავარ მიზანსაც პროფესიული ვიზიტები (-3 პპ) წარმოადგენდა, მათი წილი კი გაიზარდა, ვისთვისაც მოგზაურობის მთავარი მიზანი რეკრეაცია იყო (3 პპ).

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში

მთლიანი შიდა პროდუქტი HORECA სექტორში



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები HORECA სექტორში



ინვესტიციები HORECA სექტორში 2023 წელს ქვეყნების მიხედვით



HORECA სექტორის ბრუნვა



დასაქმება HORECA სექტორში



ნომინალური საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება HORECA სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

გოჩა ქარდავა
მკვლევარი
g.kardava@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
უმცროსი მკვლევარი
m.jikia@pmcginternational.com

ეკატერინე შერმადინი
კვლევითი ასისტენტი
e.shermadini@pmcginternational.com

დამატებითი წყაროები:

1. https://bm.ge/news/dzalian-bevri-javshani-uqmdeba-rogor-ekheba-ets-rusuli-kanoni-turizmis-seqtors
2. https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-28-maisidan-amoqmedda-uvizo-mimosvla-chinettan-30-maisidan-gaormagda-pirdapiri-frenebis-raodenoba-chinetsa-da-saqartvelos-shoris-rac-mnishvnelovani-winsvlaa-ormkhriv-urtiertobebs/
3. https://bm.ge/news/sastumroebis-mitsodeba-motkhovnas-aghemateba-ra-gamotsvevebi-aqvs-industrias

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 557 170 660
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcg-i.com